აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი
ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

30 ნოემბერი, 2012

დადგენილება № 6 (12/13)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის სტანდარტის შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის გზით, განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს უნივერსიტეტის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს პირობას. აკრედიტაციის სტანდარტების (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები) კვალობაზე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების რესურსის უზრუნველმყოფი სტანდარტების დადგენის, უნივერსიტეტში მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვის, რეკრუტინგისა და არსებული აკადემიური პერსონალისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნისა, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების მომზადების, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის მომზადების მიზნით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანების საფუძველზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შემდეგი სტანდარტი, რომლის შესაბამისად:

ა) დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ბ) კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული

სამეცნიერო ნაშრომით, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით;

გ) პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით;

დ) სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

ე) არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა.

2. დაევალოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებს უზრუნველყონ ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ჩართულობა და შედეგების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენა 2012 წლის 31 დეკემბრამდე.
3. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეიმუშაონ უნივერსიტეტში სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის სტანდარტის განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გეგმის შედგენა და დასამტკიცებლად წარმოადგინონ 2012 წლის 31 დეკემბრამდე.
4. დადგენილება ძალაში შევიდეს დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 4 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე